„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპოგრამის "სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესების“ ფარგლებში სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარსადგენ მაგისტრანტთა შერჩევის დებულება

მუხლი 1. დებულების მიზანი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის "სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N3-11 დადგენილების ფარგლებში სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომ - ,,უნივერსიტეტი'') მიერ წარსადგენ მაგისტრანტთა შერჩევის დებულების (შემდგომ - ,,დებულება'') მიზანია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის "სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N3-11 დადგენილების ფარგლებში სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომ - ,,უნივერსიტეტი'') მიერ წარსადგენ მაგისტრანტთა შერჩევის ერთიანი პირობების დადგენა და შესაბამის შერჩეულ პირთა გამოვლენა მათი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის დასაფინანსებლად წარსადგენად.

მუხლი 2. შესარჩევი კრიტერიუმები

1. წინამდებარე დებულების პირველ მუხლში დასახელებული მიზნისთვის შეირჩევა უნივერსიტეტის ძირითადი სემესტრის აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე მაგისტრანტი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:
ა) ბოლო სამი თვის განმავლობაში საცხოვრებელ მისამართზე რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;
ბ) არის უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი;
გ) 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის განმავლობაში გავლილ ყველა სასწავლო კურსში აქვს არანაკლებ 91-100 ქულა (A შეფასება - ფრიადი);
დ) მაგისტრანტის მიერ 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში არჩეული სასწავლო კურსების კრედიტების ჯამი უნდა იყოს არანაკლებ 30 კრედიტი.

მუხლი 3. კანდიდატთა შერჩევა

1. უნივერსიტეტი დასაფინანსებლად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას წარუდგენს მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" „გ" „დ" პუნქტებით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისი მაგისტრანტების რაოდენობის 30%, რომლებიც საცხოვრებელ მისამართზე რეგისტრირებულნი არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;
2. მე-2 მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდგომ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის წარსადგენ სტუდენტთა რაოდენობა ნაწილდება ფაკულტეტების მიხედვით აღნიშნულ კატეგორიაში მოხვედრილი მაგისტრანტების საერთო რაოდენობის პროპორციულად.
3. ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პროცედურის შემდგომ ფაკულტეტისთვის გამოყოფილი ადგილების ფარგლებში თითოეული ფაკულტეტიდან წარსადგენად შეირჩევა კანდიდატები, რომელთა სემესტრული ქულების საშუალო არითმეტიკული მეტია სხვა დანარჩენი პრეტენდენტების სემესტრული ქულების საშუალო არითმეტიკულზე.

4. იმ შემთხვევაში, თუ ორი ან მეტი მაგისტრანტის სემესტრის განმავლობაში მიღებულ ქულათა საშუალო არითმეტიკული თანაბარია, მაშინ პრიორიტეტი მიენიჭება სტუდენტს შემდეგი კატეგორიების მიხედვით:
ა) სოციალურად დაუცველი;
ბ) იძულებით გადაადგილებული პირი - დევნილი;
გ) ომის ვეტერანის შვილი;
დ) ობოლი (გარდაცვლილი ჰყავს დედ-მამა);
ე) მრავალშვილიანი ოჯახის წევრი (ოთხი და მეტი შვილი);
5. დასაფინანსებლად წარსადგენ მაგისტრანტთა ერთიანი სია უნივერსიტეტის მიერ ეგზავნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 4. ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები

1. აღნიშნული დებულებით გათვალისწინებული პროცედურების ადმინისტრირებას ახორციელებენ უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტები ურთიერთშეთანხმებით.